

ლელია ფანცულასია

კიდევ ერთი კოეფიციენტი როლებრივი ურთიერთობის
სოციოლინგვისტური მოდელისათვის

ცნობილია, რომ ორი ინდივიდის ვერბალური კომუნიკაციის დროს ისინი არა მარტო ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას გამოხატავენ გარკვეული ენობრივი ელემენტების საშუალებით, არამედ მათი გამონათქვამები ასახავს მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ქართულში გრამატიკის დონეზე ამ თვალსაზრისით გამოიყოფა თავაზიანი თქვენ (ფამილარულ შენ-თან დაპირისპირებით) და ზმნის შესაბამისად მარკირებული (თუ არამარკირებული) ფორმები; თავაზიანობის გამომხატველ -თ სუფიქსიან ზმნებს სპეციალურ ლიტერატურაში ეწოდა ევფემა — გრამატიკული ევფემიზმი (კიკვიძე, 1993, გვ.124).

დ.ჭაიშვიმა შეისწავლა სამეტყველო ქცევის ასპექტები და გამოყო შვიდი კომპონენტი, რომლებსაც შეიცავს ყოველი სამეტყველო აქტი (ჭაიშვი, 1975, გვ.58). განხილულ კომპონენტთაგან ყველაზე მთავარი გამგზავნისა და მიმღების ფაქტორებია. მათი კატეგორიების გამოვლენა კი უნდა მოხდეს მოცემული ჯგუფის როლებრივის სისტემის ტერმინებით, რაც ფორმულებით შემდეგნაირად გამოიხატება:

- 1) $R_x = R_y$ (აღრესანტისა და აღრესატის როლები ტოლია);
- 2) $R_x > R_y$ (აღრესანტის როლი მეტია აღრესატისაზე);
- 3) $R_x < R_y$ (აღრესანტის როლი ნაკლებია აღრესატისაზე).

როგორც წესი, პირველი ორი ფორმულით გამოხატული სამეტყველო ქცევა შეიცავს შენ ნაცვალსახელს და ევფემატურად არამარკირებულ ზმნას, ხოლო მე-3 ფორმულით გამოსახული სამეტყველო ქცევა წარმოდგენილია თქვენ ნაცვალსახელით და ევფემით; თუმცა ზოგჯერ წარმოდგენილი შესაბამისობა თითქოს ირღვევა.

ჩვენ შევისწავლეთ სამეტყველო ქცევის სოციოლინგვისტური ასპექტები კონსტანტინე გამსახურდიას „მთავრის მოტაცების“ მიხედვით და ყურადღება მივაქციეთ ზოგიერთ მაგალითს:

თარაში მიმართავს კაროლინას:

„—მე თქვენ გარწმუნებთ, არც კათოლიკე მისიონერების, არც შევალე გამბას და არც გაგარინის ალბომების ქართული ტიპები მათთან არად გამოჩნდებოდა“ (გამს., 241).

სოციალური თვალსაზრისით გვაქვს ფორმულა $R_x = R_y$. თარაში x-ია, კაროლინა — y (x-ისა და y-ის როლები ტოლია); R კი როლის აღმნიშვნელია; ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა გვქონდეს ფამილარული მიმართვა, მაგრამ მოცემულ მაგალითში თითქოს წესი ირღვევა. ზ.კიკვიძემ შეისწავლა როლებრივი ურთიერთობანი სოციოლინგვისტური თვალსაზრისით და ტოლფარდი როლების შემსრულებელ კომუნიკანტთა შორის არსებული დისტანციის აღსანიშნავად შემოიტანა კოეფიციენტი D, რის შედეგადაც $R_x = R_y$ ფორმულა გამართლდა, ოღონდ მან მიიღო შემდეგი სახე:

D

$$R_x = R_y \text{ (კიკვიძე, 1995, გვ.24).}$$

თუმცა, როგორც აღნიშნული ემპირიული მასალის შესწავლა გვიჩვენებს. პოვნეირია ისეთი შემთხვევებიც, როცა საჭიროა სხვა კოეფიციენტების შემოტანაც.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

არზაყანი მიმართავს კაცს:

„—მე არც ღმერთი მწამს, არც სული და სიზმარი, მაგრამ დედამ დამაბარა და მეც გაგახსენეთ დადრა“ (გამს., 24).

მთელს ნაწარმოებში არზაყანი შენობით მიმართავს მამას, რაც მათი როლების ტოლფარდობის გამოხატველია: $R_x = R_y$; მაგრამ მოცემულ მიმართვაში ჩნდება ეფექტი (გაგახსენეთ). ამ შემთხვევაში D კოეფიციენტი ვერ გამოიყოფა. სამაგიეროდ, მოცემული ვითარება შეიძლება აიხსნას როლების სოციოლოგიურ თეორიაში არსებული როლებრივი დაძაბულობის (role-strain) ფაქტორის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, შემოგვაქვს კოეფიციენტი S , რაც წარმოდგენილი ფორმულის შესაძლო რეალიზაციის ამხსნელი იქნება. მაშასადამე, ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

S

$$R_x = R_y,$$

სადაც S კომუნიკანტთა შორის არსებული როლებრივი დაძაბულობის აღმნიშვნელია.

დამოწმებული ლიტერატურა

1. კიკვიძე, 1993 — ზ. კიკვიძე, გრამატიკული ეფექტიზმის გამოყოფის საკითხისათვის: ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, №2, 1993.
2. კიკვიძე, 1995 — ზ. კიკვიძე, როლებრივი ურთიერთობანი და სოციოლინგვისტური ცვლადები: ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, №1, 1995.
3. ჰაიმზი, 1975 — Хаймс В. Х. Этнография речи. НЛ. вып. VII, М., 1975.

Leila Pantsulaia

One More Coefficient in the Sociolinguistic Model of the Role Relations

Summary

The study of empirical materials prove that the existed sociolinguistic formulae of role relations are not universal for any situation. Therefore, a corresponding coefficient should be added to a formula. As a result of the study of speech acts in K. Gamsakhurdia's 'Kidnapping of the Moon', it became clear that for certain speech acts, which are expected to be formulated as $R_x=R_y$ (the roles of communicator are equal), the traditional formula is not sufficient. In the sociological theory of roles the factor of role-strain has been identified. Hence, I introduce the coefficient S in order to accomplish the above given formula:

S

$$R_x=R_y,$$

where S designates the role-strain between the communicators.